გილოცავთ ხარებას, ბზობას და ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას!



საგარეჯოს მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №7(21) 2012 წ. 1-15 აპრილი ფასი 50 თეთრი

ქრისტე აღსდგა!

ახალი პროექტები

შეხვედრა საგარეჯოელებთან

7 აპრილს საგარეჯოს მუნიციპალიტეტს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე და საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში გიორგი ღვინიაშვილი ეწვივნენ. მათ საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ინტელიგენციის წარმომადგენლები, საგარეჯოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დახვდა. ეზოში გაკეთებულ სტენდებზე წარმოდგენილი იყო ის პროექტები, რომლებიც ქალაქ საგარეჯოში 2012 წლის ბოლომდე უნდა განხორციელდეს. სწორედ ამ საკითხების ირგვლივ ისაუბრეს ბატონებმა დავით ბაქრაძემ და გიორგი ღვინიაშვილმა. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გია ჩალათაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს ვრცლად გააცნო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახული სამომავლო პროექტების მნიშვნელობა და განხორციელების გზები.

საგარეჯოელებისათვის მართლაც სასიხარულო იყო იმ პროექტის გაცნობა, რომელიც საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობების რეაბილიტაციას და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის გაშენებისა და აქ საზაფხულო, ღია საკონცერტო სცენის მოწყობას ითვალისწინებს. ასევე, კმაყოფილება გამოთქვეს იმ პროექტის შესახებაც, რომელიც ითვალისწინებს საგარეჯოს ცენტრის რეაბილიტაციას, აქ რამდენიმე შენობის ადგილას სკვერის გაშენებასა და ეკლესიის აგებას. ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარემ მოსახლეობიდან დასმულ კითხვებს უპასუხა.

ბატონებმა დავით ბაქრაძემ და გიორგი ღვინიაშვილმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელ გია ჩალათაშვილთან, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ილია ჭიაურელთან და საქართველოს პარლამენტის წევრ ზაზა გულიკაშვილთან ერთად საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში განთავსებული ექსპონატები, მუზეუმის სარეაბილიტაციო შენობები დაათვალიერეს.

15 აპრილი ციყვაჩოლიც ლოდა!

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის 3 აპრილის, სამშაბათის ტრადიციულ თათბირს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილი და გიორგი ბეჟიტაშვილი, გამგეობის სამსახურის უფროსები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულები ესწრებოდნენ. თათბირს ბ-ნი გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილი უძღვებოდა. მან დაწვრილებით გამოიკითხა თითოეულ ტერიტორიულ ერთეულში იმ პრობლემების შესახებ, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია, რათა გაზაფხულზე მოსალოდნელმა წყალდიდობებმა სერიოზული ზიანი არ მიაყენოს მოსახლეობის კუთვნილ საკარმიდამო ნაკვეთებსა და სოფლის სავარგულებს. ასევე, გამოიკითხა მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების საკითხი იმ სოფლებში, სადაც ზამთრის პერიოდში არსებული ყინვებისგან დროებით შეწყვეტილი იყო სასმელი წყლით მომარაგება.

თათბირზე დაისახა ღონისძიებები ყველა დაყენებული საკითხის შესასწავლად და ქმედითი ღონისძიებების გასატარებლად.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

30 მარტის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას საკრებულოს 23 დეპუტატი და მოწვეული პირები ესწრებოდნენ. სხდომას უძღვებოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ილია ჭიაურელი.

სხდომის თავმჯდომარემ ილია ჭიაურელმა საკრებულოს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად სხდომაზე წარმოდგენილ იქნა დადგენილების პროექტი „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის 23 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის სამსახურის უფროსმა ნინო ქურხულმა წარმოადგინა. თანამომხსენებელმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ქურთიშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ შეისწავლა ზემოთ აღნიშნული საკითხი და კომისიას ამ საკითხის მიმართ არავითარი შენიშვნები არ გააჩნია, აღნიშნული ცვლილებების შეტანას ბიუჯეტში კომისია ეთანხმება.

საკითხი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ სხდომის მონაწილეებს წარუდგინა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილმა. როგორც ბ-ნმა გოჩამ აღნიშნა, ლიკვიდაცია უნდა შეეხოს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საგარეჯოს №69 კომპლექსური სასპორტო სკოლასა“ და „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საფეხბურთო კლუბ საგარეჯოს „გარეჯს“ და დაფუძნდეს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საგარეჯოს სპორტული გაერთიანება“, ამასთანავე (არაკომერციული) იუირიდიული პირის „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ შემადგენლობაში შევიდა რაგბის მიმართულებაც. მომხსენებელმა შესაბამისად, საკრებულოს წარმოუდგინა „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ წესდების პროექტი. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საგარეჯოს სპორტული გაერთიანება“ ჩაითვლება აიპ საფეხბურთო კლუბი „საგარეჯოს გარეჯის“ და „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საგარეჯოს 69 სასპორტო სკოლის“ უფლებამონაცვლედ და სამართალმემკვიდრედ.

საკრებულოს სხდომაზე საკითხი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების: „საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლის, სკოლამდელი და სკოლისგარეშე სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი დაწესებულებების, „საგარეჯოს № 105 კომპლექსური სასპორტო სკოლის საშტატო ერთეულებისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ“ წარადგინა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილმა.

აღნიშნულ საკითხზე კომისიის სათანადო დასკვნები წარმოუდგინა საკრებულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვაჟა ჯავახიშვილმა.

სხდომაზე ასევე განიხილეს სხვადასხვა საკითხები.

საკრებულომ დღის წესრიგით წარმოდგენილ ყველა საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება.

გაზაფხული უფრო ხანძარსაშიში გახდა

„ასეთი ხანძრები არავის ახსოვს“...

ასე დაიწყეს საუბარი რედაქციაში მოსულმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის უფროსმა ზაქრო ოტიაშვილმა და ამავე სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ფრიდონ ბეჟიაშვილმა.

– გასული სამი თვის მანძილზე მოსვენება არ გვქონდა თუნდაც ერთი დღე, – გვეუბნება ზაქრო ოტიაშვილი, – ზოგჯერ ერთ დღეს 5-6 შემთხვევა ყოფილა, – დილის 9 საათიდან გასულები, იყო შემთხვევა, ღამის 1 საათზე შევსულვართ დაღლილები, და თანაც უხემსოდ. სამი თვის განმავლობაში 120 შემთხვევა იყო ხანძრის და 1 აპრილს, მარტო 1 დღეს 6 შემთხვევა. თუ გავიხსენებთ, გასულ 2011 წელს, მთელი წლის განმავლობაში სულ 103 შემთხვევა იყო. ხანძრის ხშირი შემთხვევები იყო მანავში, თოხლიაურსა და ხაშმში, თითქმის ყოველ მეორე-მესამე დღეს. იორმუღანლოსა და უდაბნოს ტერიტორიაზე გადაიწვა 700-700 ჰა მიწის ფართობი, 300 ჰა მიწის ფართობი გადაიწვა ყოფილი „გარეჯის“ მეცხოველეობის კომპლექსის საძოვრებზე. ძირითადად ხანძრის კერა და მიზეზი იყო გამხმარი ბალახებისა და ფოთლებისათვის გაუფრთხილებლად წაკიდებული ცეცხლი, ვითომდა ვენახებისა და ცარიელი ადგილების გასასუფთავებლად. მოსახლეობა არაფრით არ ფრთხილდებოდა არც ქარიან ამინდში, მითუმეტეს მთელი მარტის თვე ქარიანი იყო. მიმართულება ქარისა ამ დროს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ იყო მიმართული, მაგრამ ახლა გაურკვეველი იყო, თითქმის ოთხივე მხრიდან იყო ქარი, ამიტომაც იყო ცეცხლის ლოკალიზება გაძნელებული და ზოგჯერ ისეთი სისწრაფით ვრცელდებოდა, მსხვერპლიც იქნებოდა შესაძლებელი. ამიტომ მიიღო სხეულის I-II ხარისხის დამწვრობა 21 მარტს ბადიაურელმა თამაზ ს-ძემ, რომელიც ახლა თბილისის დამწვრობის ცენტრში გადის მკურნალობას. მან თავისი კუთვნილი სახნავი ადგილების გასასუფთავებლად ხმელ ბალახს ცეცხლი წაუკიდა – ძლიერმა ქარმა კი ცეცხლი საშიშ ხანძრად აქცია, თავადაც ვეღარ გამოასწრო და სრულიად შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს – შორს მყოფ სოფლის რწმუნებულს ეჭვი შეეპარა ცეცხლის სიძლიერეში და როცა ახლოს მივიდა, თამაზ ს-ძე თითქმის უგონო მდგომარეობაში, სხეულზე ცეცხლმოკიდებული მიწაზე იწვა...

ასეთივე გაუფრთხილებლობით კრასნოგორკაში მცხოვრებ მოსახლეს 11 მარტს სათავსო ნაგებობა, ბოსელი და ბოსელში მყოფი სამი სული მოზარდი მსხვილფეხა დაეწვა.

ხანძრის გაჩენას და გარკვეული ადგილების გადაწვას ზოგჯერ მეცხვარეები წინასწარ განზრახვით აკეთებენ – გადამწვარ ბალახზე 2-3 დღეში ახალი ბალახი ამოდისო გაზაფხულზე და სამაგიეროდ, ამ „მიზანს“ და ქმედებას ათეულობით, ასეულობით ჰექტარი მიწის ფართობის ზედაპირი ეწირება.

სერიოზული ხანძრები იყო წყაროსთავისა და შიბლიანის ტყისპირებში იმდენად, რომ მისი გავრცელება სრულიად შესაძლებელი იყო ტყეშიც.

10 მარტს მანავის ტერიტორიაზე არსე-

დასასრული მე-3 გვერდზე

ტექნიკური დავალება

პილოტური პროექტის მდგრადი სოფლის მეურნეობის პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობა განსახორციელებლად

შესავალი

2009 წლიდან კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC Caucasus), კავკასიის გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელთან (CENN) მჭიდრო თანამშრომლობით, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს რეგიონულ პროექტს – მიწის რესურსების მდგრადი მართვა მიწის დეგრადაციის შემცირებისა და სიღარიბის დაძლევისათვის სამხრეთ კავკასიის რეგიონში. პროექტი ხორციელდება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მდინარეების – ხრამი-დებედისა და ალაზან-ივრის – აუზებში.

რეგიონული პროექტის მიზანს წარმოადგენს:

• სამხრეთ კავკასიის რეგიონის ტრანსსასაზღვრო მდინარეების აუზებში მიწის რესურსების მდგრადი მართვის პრაქტიკის დანერგვა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის, დაგეგმვისა და რეგულირების პროცესის გაუმჯობესების საშუალებით;

• სამიზნე ტერიტორიებში სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის მიწის რესურსების მდგრადი სააუზო მართვისა და ალტერნატიული საარსებო წყაროების უპირატესობის დემონსტრირება და მიღწეული შედეგების სხვა ადგილებში გადაღების მიზნით რეპლიკაციის სტრატეგიის შემუშავება.

საქართველოში პროექტი ხორციელდება ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონების შემდეგ მუნიციპალიტეტებში:

• ბოლნისი, მარნეული, დმანისი – ქვემო ქართლის რეგიონი;

• სიღნაღი, ლაგოდეხი, დედოფლისწყარო, საგარეჯო – კახეთის რეგიონი.

ზემოთ აღნიშნული რეგიონული პროექტის ფარგლებში პროექტის განმახორციელებელი გუნდი აცხადებს კონკურსს პროექტის – მდგრადი სოფლის მეურნეობის პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობა – განხორციელებისათვის.

პილოტური პროექტის მიზანი

პროექტის საერთო მიზანს წარმოადგენს მდგრადი სოფლის მეურნეობის პრაქტიკის – როგორიცაა თესლბრუნვა, წვეთოვანი რწყვა და სხვ. – უპირატესობის დემონსტრირება.

კერძოდ, პროექტის კონკრეტულ მიზანს წარმოადგენს სამიზნე ტერიტორიაზე ნიადაგის დეგრადაციის შემცირება და ნაყოფიერების გაზრდა სოფლის მეურნეობის ტრადიციული პრაქტიკის ხელახალი დანერგვის გზით.

რეგიონული პროექტის მიწის რესურსების მდგრადი მართვა მიწის დეგრადაციის შემცირებისა და სიღარიბის დაძლევისათვის სამხრეთ კავკასიის რეგიონის ფარგლებში

ადგილმდებარეობა: სოფელი უდაბნო, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი.

ხანგრძლივობა: პროექტი უნდა დასრულდეს 2012 წლის ბოლომდე.

პროექტის ძირითადი შედეგები:

•ოთხი (4) სასწავლო კურსი/ტრენინგი სოფლის მეურნეობის მდგრად პრაქტიკაზე ადგილობრივი ფერმერებისათვის;

•თითოეულ სასწავლო კურსში / ტრენინგში მონაწილეობას იღებს, დაახლოებით, 30–35 ადგილობრივი ფერმერი;

•ესპარცეტით დათესილი ნაკვეთი (მინიმუმ, 1 ჰა);

• პროექტის შედეგების დემონსტრირების მიზნით სადემონსტრაციო დღის მოწყობა.

ვადები და პროექტის განხორციელების ეტაპები:

ძირითადი საქმიანობები, რომლებიც უნდა განხორციელდეს პილოტური პროექტის ფარგლებში:

• ოთხი (4) სასწავლო კურსის / ტრენინგის ჩატარება ადგილობრივი ფერმერებისთვის მდგრადი სოფლის მეურნეობის პრაქტიკის საკითხებზე;

• ესპარცეტის თესლისა და სხვა საჭირო მასალის შესყიდვა;

• იმ ნაკვეთის შერჩევა, სადაც მოხდება ესპარცეტის დათესვა – ნაკვეთის შერჩევა უნდა მოხდეს იმ ფერმერებისგან, რომლებმაც გაიარეს პროექტის ფარგლებში ტრენინგები, დაინტერესებული არიან ესპარტეცის დათესვით და მზად არიან, იზრუნონ ნათესზე მომავალში;

• ესპარტეცის თესლის დათესვა ნაკვეთზე (მათ შორის, ყველა მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება);

• სადემონსტრაციო დღის ორგანიზება პილოტური პროექტის შედეგების დემონსტრირების მიზნით.

პილოტური პროექტი უნდა განხორციელდეს რეგიონული პროექტის – მიწის რესურსების მდგრადი მართვა მიწის დეგრადაციის შემცირებისა და სიღარიბის დაძლევისათვის სამხრეთ კავკასიის რეგიონში – განმახორციელებელ გუნდთან მჭიდრო თანამშრომლობით.

კერძოდ, პილოტური პროექტის განხორციელების პროცესში შერჩეული ორგანიზაცია მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდეს: რეგიონული პროექტის ეროვნულ და ადგილობრივ კოორდინატორებთან, სამიზნე მუნიციპალიტეტის (სადაც პილოტური პროექტი განხორციელდება) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და ადგილობრივ ფერმერებთან.

პილოტური პროექტის განხორციელების დროს რეგიონული პროექტის – მიწის რესურსების მდგრადი მართვა მიწის დეგრადაციის შემცირებისა და სიღარიბის დაძლევისათვის სამხრეთ კავკასიის რეგიონში – განმახორციელებელი გუნდი არჩეულ ორგანიზაციას გაუწევს შესაბამისი ექსპერტების/სპეციალისტების კონსულტაციას (სოფლის მეურნეობის სპეციალისტის, მეტყევის მიწოდების კუთხით).

რეგიონული პროექტის – მიწის რესურსების მდგრადი მართვა მიწის დეგრადაციის შემცირებისა და სიღარიბის დაძლევისათვის სამხრეთ კავკასიის რეგიონში –განმახორციელებელი გუნდი პროექტის მიმდინარეობის დროს აქტიურად იქნება ჩართული შესაბამისი კონსულტაციების გაწევისა თუ მონიტორინგის კუთხით.

პილოტური პროექტის ბიუჯეტი:

პილოტური პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 7,000 ევროს (დღგ–ს გარეშე).

აღნიშნული თანხის გადარიცხვა განხორციელდება შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

%	დროის პერიოდი
30%	პილოტური პროექტის განხორციელების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ
50%	მოხსენებითი/თხრობითი და ფინანსური ანგარიშების ჩაბარების შემდეგ
20%	პილოტური პროექტის განხორციელების დასრულებისა და საბოლოო მოხსენებითი/თხრობითი და ფინანსური ანგარიშების ჩაბარების შემდეგ

ანგარიშგება:

პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია ვალდებულია, წარმოადგინოს შემდეგი ანგარიშები:

• შუალედური მოხსენებითი/თხრობითი და ფინანსური ანგარიშები;

• საბოლოო მოხსენებითი/თხრობითი და ფინანსური ანგარიშები.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

• ორგანიზაცია უნდა იყოს რეგისტრირებული ერთეული (სათემო ორგანიზაცია / არასამთავრობო ორგანიზაცია);

• ორგანიზაცია უნდა ფუნქციონირებდეს არანაკლებ ორი წლის განმავლობაში;

• ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს საკუთარი ან ნაქირავები საოფისე ფართობი;

• უპირატესობა მიენიჭება იმ ორგანიზაციებს,რომლებსაც აქვთ საქართველოს რეგიონებში მუშაობის გამოცდილება;

• უპირატესობა მიენიჭება იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ ბუნებრივი რესურსების, სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებული პროექტების განხორციელების გამოცდილება.

განაცხადის შეტანა:

დაინტერესებულმა სათემო / არასამთავრობო ორგანიზაციებმა ა.წ. 15 აპრილამდე ქვემოთ მითითებულ მისამართზე უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

• მოკლე ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ (ორგანიზაციის ძირითადი კვალიფიკაციის, განხორციელებული პროექტების (ბიუჯეტების მითითებით), და სხვ.);

• წერილი, რომელშიც დასაბუთებული იქნება პილოტურ პროექტში მონაწილეობის ინტერესი და მოტივაცია (მაქსიმუმ, 2 გვერდი);

• ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

• ცნობა ორგანიზაციის ნასამართლობის შესახებ (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

• ცნობა ორგანიზაციის ხელმძღვანელის ნასამართლობის შესახებ (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

• წერილობითი დადასტურება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არქონის შესახებ (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან).

კონკურსის შედეგები გამოცხადდება განაცხადების მიღებიდან ორი (2) კვირის შემდეგ.

საკონტაქტო ინფორმაცია:
ნინო თევზაძე
პროექტის ეროვნული კოორდინატორი საქართველოში
ტ +995 32 2 75 19 03 / 04
ფ +995 32 2 75 19 05
nino.tevzadze@cenn.org
www.cenn.org

R

გაზაფხული უფრო ხანძარსაშიში გახდა

„ასეთი ხანძრები არავის ახსოვს“...

დასასრული

ბულ სასაფლაოს მართლაც რომ დიდი ხანძარი ემუქრებოდა, მაგრამ ჩვენთან ერთად მთელი სოფლის მოსახლეობა ფეხზე დადგა და სასაფლაო გადაწვას გადარჩა. ხანძრის თითოეული შემთხვევის შესახებ შეტყობინება ჩვენს მიერ იგზავნება პოლიციაში ხანძრის გამომწვევი მიზეზისა და მიყენებული ზარალის დასადგენად. ამჯერად ამ შემთხვევებთან ერთად ჩვენ პოლიციას გადავეცით ის 6 ფიქტიური სატელეფონო გამოძახება, რომელიც სამსახურში მივიღეთ. იყო შემთხვევა, როცა გამოძახება იყო მანავიდან, ჩვენი ეკიპაჟი და თანაც მხოლოდ ერთი კი არა, ჩავიდა მანავში, იქ კი მითითებული სახლი დაკეტილი აღმოჩნდა, არც ხანძრის კვალი იყო სადმე. ამ პერიოდში ვენახი დაიწვა საგარეჯოში მოქალაქე ოთარ ი-ძის, სანამ მანავიდან ცრუგამოძახებაზე მყოფი ეკიპაჟი მოვიდოდა და მესამე ეკიპაჟიც შემთხვევის ადგილზე იყო – ვენახი დაიწვა.. ფიქტიურ გამოძახებას ხშირად ტელეფონის ნომრის მფლობელი უარყოფს, ან ბავშვებს აბრალებს. როცა დაისჯება ასეთ შემთხვევაში ადამიანი, მაშინ აღარც ფიქტიური გამოძახება იქნება. ამასთან, ხანძრის შემთხვევის ადგილზე მისულებს (მინდვრად, ვენახში) არავინ გეხვდება ისეთი, ვისაც ეცოდინება ტერიტორიის, იმ ადგილის მფლობელის ვინაობა. ჩვენთვის ამის ცოდნა აუცილებელია, რადგან სათანადო აქტი უნდა დაიწეროს.

საუბრისას ბ-ნ ზაქროს ვერც შევუბედეთ შეკითხვა, ვინ უფრო მამაცი და მოხერხებულია ხანძრის შემთხვევაში მეხანძრეთაგან, რადგან მათი თქმით და ისედაც, საერთოდ, საუბარში, ყოველთვის ამბობენ, რომ ყველა, სამივე ეკიპაჟის მძღოლებიც, მეხანძრეებიც, რაზმის უფროსებიც ყველა უშიშარი და შეუპოვარია ხანძართან ბრძოლისას.

120 ხანძარი ცოტა არ არის 3 თვის მანძილზე და მაშინ, როცა ხანძრიდან ხანძარზე გადადიან. სწორედ ამ გადარბენა – ხანძართან ბრძოლაში ზიანდება ისედაც მოძველებული მანქანები, იღლებიან, იქანცებიან მეხანძრეები, ადგილზე უკან დაბრუნებულებს კი საშხაპეც წესრიგში არ ხვდებათ, ზამთრის ყინვებმა მოშალა და დააზიანა ყველაფერი. ახლახანს მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელმძღვანელობა დაჰპირდათ, უახლოეს ხანში აღადგენენ საშხაპეს. ბიჭებს კი მართლაც შეეშველებათ საშხაპე, რადგან ხანძრის ლიკვიდაციის შემდეგ ისედაც ქანცგაწყვეტილები ახლა ერთმანეთის დანახვაზე სიცილით ფეხზე ვეღარ დგებიან...

ისე კი, რაც მართალია, მართალია, ასეთი ხანძრები საგარეჯოს რაიონის ტერიტორიაზე არავის ახსოვს...

21 მარტს ჩვენი მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანული სოფლების მცხოვრებლებმა, მუსულმანური სამყაროს წარმომადგენლებთან ერთად ზეიმით აღნიშნეს თავიანთი ტრადიციული დღესასწაული – ნოვრუზ-ბაირამი. ამ დღესასწაულამდე ორი კვირით ადრე კი მათ კიდევ რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იზეიმეს. სოფელ იორმუღანლოში გაიხსნა ქართული ენის სახლი, სადაც ნებისმიერ მსურველს საშუალება ექნება გაძლიერებულად შეისწავლოს ქართული ენა. იმავე დღეს საფუძველი ჩაეყარა ორი ახალი სკოლის მშენებლობას. იორმუღანლოსა და ლამბალოში აშენდება თანამედროვე სტანდარტების დონეზე აღჭურვილი სასკოლო შენობები.

ჩვენი რაიონის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლების მცხოვრებთათვის ამ სასიხარულო მოვლენასთან დაკავშირებით იორმუღანლოს სტუმრობდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და კახეთის მხარის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი.

უკვე რამდენი წელია იორმუღანლოს საჯარო სკოლის 1200-მდე მოსწავლე ერთ სასწავლო კორპუსში, ორ ცვლაში არაკომფორტულ გარემოში სწავლობს. მომავალი სასწავლო წლის დასაწყისიდან კი ეს მოსწავლეები თანამედროვე სტანდარტების, კეთილმოწყობილ სასწავლო კორპუსში გააგრძელებენ სწავლას.

ახალი სკოლის შენობები მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეებისათვის

როგორც ამ სკოლის დირექტორ ისლამ გაიბოვთან საუბარში გაირკვა,ეს იქნება თანამედროვე ტიპის სამსართულიანი შენობა, თორმეტი საკლასო და სხვა საჭირო ოთახებით. მშენებლობის დამთავრება 15 სექტემბრისათვის იგეგმება. ამავე პერიოდისათვის დასრულდება ლამბალოს საჯარო სკოლის ახალი შენობის მშენებლობაც, რომლის 1000-მდე მოსწავლეც ოჯახებში მოწყობილ საკლასო ოთახებში სწავლობენ, მომავალი სასწავლ;ო წლიდან კი თანამედროვე, სასკოლო შენობაში ისწავლიან.

გივი დაგახიშვილი

ქართულის მაცნე

14 აპრილი დედა ენის დღეა!

ენა ქართული

ილია: „ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“, „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული – ენაა“.

„მტრობა ენისა არს მტრობა ქვეყნის“.

ინგლისელი ისტორიკოსი, ქართველოლოგი უილიამ ალენი: ქართული ენის ბგერათა სიუხვესა და მრავალფეროვნებას ქართული ანბანი სრულად და ჭეშმარიტად გამოხატავს; ყოველი ცალკეული ბგერის ცალკეული ასონიშანი ზუსტად და მკაფიოდ გამოითქმის; ამ თვალსაზრისით ვერც ერთი სხვა ანბანი ქართულ ანბანს ვერ შეედრება.

ნიკო მარი: „რუსული ანბანი არ ყოფნის თუნდაც კავკასიის ენების ბგერების სიუხვეს. მათ ყველა სხვა ანბანზე უფრო ქართული აკმაყოფილებს. ის, შეიძლება ითქვას, იდეალურია და მარტივი. მასში სათაური ასოები არ იხმარება და, ვიმეორებ, არავინ გრძნობს ამ ნაკლს.

ნიკო მარი: „ქართული ენა ერთ-ერთი უძველესი ენაა, როგორც მეტყველების ისე დამწერლობის თვალსაზრისით. ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას. არ არსებობს აზრი, რომელსაც არათუ გამოთქვა ქართულად, არამედ არ გაამდიდრო და მხატვრულ ყალიბში არ ჩამოასხა. ქართული ენა ძალზე მდიდარია და შინაგანი თვისებებით მსოფლიო ბუნებისაა.“

ართვინელი ქართველებისათვის წელიწადში 1 დღე – 7 მარტი – ქართული ენის დღეა. ამ დღეს ყველა ცდილობს მხოლოდ ქართულად ილაპარაკოს, თუ არა, 10 დოლარით ჯარიმდება.

საუკუნეთა ლაბირინთებში

„ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“

1. დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორე მოსვლისა მის საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

2. და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან.

3. და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან; ესენი არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა.

4. და მეგობრობა ამისათვის თქვა, ვითარმედ ყოველი საიდუმლო ამს ენასა შინა დამარხულ არს.

5. და ოთხისა დღისა მკვდარი ამისთვის თქუა დავით წინასწარმეტყველმან, რამეთუ წელი ათასი ვითარცა ერთი დღე; და სახარებასა შინა ქართულსა თავსა მათესსა წერილი ზის, რომელ ასოი არს და იტყვის ყოვლად ოთხთა თასსა მარაგსა და ესე არს ოთხი დღე და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისათვის მის თანავე დაფლული სიკვდილითა ნათლისღებისა მისისათა.

6. და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა.

7. და სასწაულად ესე აქუს: ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი უმეტეს სხვათა ენათა ქრისტეს მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე.

8. და ესე ყოველი, რომელი წერილი არს, მოწამედ წარმოვითხრას ესე წილი ანბანისა.

საიდუმლო ანდერძი, რომელიც ბრძენმა წინაპარმა, საბაწმინდელ-სინელმა ბერმა იოანე ზოსიმემ (მჩხრეკელი) დაგვიტოვა. ქართული ანბანის ქების ტექსტს იგი ოთხჯერ გადაწერს 962, 964, 979 და 982 წლებში და მის მიერვე შემოსილ ხელნაწერ მრავალთავში შეიტანს.

ავტორი მატიანის საიდუმლო წელთაღრიცხვას გვაუწყებს და გვაყენებს გზაზე, რომ მისი საიდუმლოების ცოდნა ააშკარავებს ქართული ენის აშკარა უპირატესობას სხვა ენებთან შედარებით. „დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მის საწამებლად...“ ჯერ უნდა ვთქვათ, რომ ენა ძველად ნიშნავდა ხალხს, მოდგმას, ერს და, მაშასადამე, ქართველი ხალხი ელის ამ დღეს, დროსა და გარემოს, როცა ეს ხალხი, გენით და ქრისტიანობით გასხივოსნებული საგულდაგულოდ ჩაიხედავს ამ ენაში და შეიმეცნებს ქართული გენის ფენომენს, როგორც საკაცობრიო სიბრძნის დედაძარღვს და გაბრწყინდება ღვთის ნება, ქართველი ხალხი დაიბრუნებს მწყემსის ადგილს დედამიწაზე, ანუ თავის თავზე აიღებს სასულიერო-საგანმანათლებლო მისიას მსოფლიოს წინაშე.

„და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან“. სახარებისეული ლაზარე ქრისტეს მეგობარია, რაც მოწმობს იმას, რომ ლაზარეს გაცოცხლება ქრისტეს მიერ ენის და ერის გაცოცხლებაა. „ლაზარემ არა მხოლოდ იცის ქრისტეს აღდგომის საიდუმლო, არამედ განცდილი აქვს საკუთარ თავზე, არათუ სწავლებით, არათუ გამოცხადებით აქვს მიღებული, არამედ საკუთარი სისხლითა და ხორცით აქვს განცდილი თავად მაცხოვრის აღდგომამდე“

„და ახალმან ნინომ მოაქცია და ჰელენე დედოფალმან; ესენე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა“. წმინდა ნინო და ჰელენე დედოფალი შედარებულია ლაზარეს დებთან მარიამთან და მართასთან. ჰელენე დედოფალი 255-330 წლებში, პირველი ქრისტიანი მეფის კონსტანტინე იმპერატორის დედა, ქრისტეს ჯვარის აღმომჩენელია იერუსალიმში. ქართლის დედოფალს ნინოს ჰელენე დედოფალი უგზავნის წერილს, მაცხოვრის ხატს და ჯვარის ნაწილს („ძველი ცხოველი“), ჰელენე დედოფალი წმინდა ნინოს უწოდებს დედოფალს, მოციქულს და მახარებელს. მართას მონაწილეობა მისტერიაში გარეგანია და მჭვრეტელია ხილულისა, იმდენადვე მარიამი შინაგანის და უხილავი სულიერების მგრძნობელია.

იოანე ოქროპირი მარიამს ადარებს ახალი აღთქმის ეკლესიასთან, მართას კი ძველი აღთქმის ეკლესიასთან. ასევეა სახარებაში, მარიამი მუდამ მაცხოვრის მსმენელი იყო, ხოლო მართა ნიადაგ საოჯახო საქმის მკეთებელი. ამის გამო წმინდა ნინო, მისტიკოსი, ნათელმხილველი, შედარებულია მარიამთან, ხოლო ჰელენე დედოფალი მართასთან, პირველი ორი მისტიური ცოდნით არიან გაჯერებული, მეორე ორი კი – ქველმოქმედებით და სამართლიანობით სოციალურ სფეროში.

„და ახალმან დედოფალმან მოაქცია ნინო და ჰელენე“, მაშასადამე, ნინო და ჰელენე მოაქცია ახალმა დედოფალმა და ის ახალი დედოფალი იყო, იბერიის დედოფალი ნანა – მირიან მეფის თანამეცხედრე მეორე ქორწინებიდან. ამიტომ „ქებაის“ ავტორი მას უწოდებს ახალ დედოფალს.

„და ესე ენაი შემკული და კურთხეულია სახელითა უფლისათა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა“, ე.ი. თუ ეს ენა შემკულია და კურთხეული, თავად ეს ხალხი ანუ ენა ყოფილა უფლის ნიშნის და კოდის მატარებელი და თვითონ ეს ენაა უფალი. ქართული სიტყვა „ანბანი“ ეგვიპტურად ღმერთების „ენას ნიშნავს“.

„ამისათვის მის თანავე დაფლული სიკვდილითა ნათლისღებისა მისისათა“, ზოსიმე – ბერი ამ სიტყვებით ამხელს, რომ ნათლისღება ჭეშმარიტი ზიარებაა და ამბობს, რომ ლაზარე (ანუ ქართული ენა) დამარხულ არს თავისივე ნათლისღებისათვის, ანუ სამყაროს ჭეშმარიტი ზიარებისათვის“. ეს ნიშნავს, რომ ნათლისღებით შემკული და კურთხეულია სახელითა უფლისაითა. საერთოდ, ნათლისღება ჭეშმარიტებასთან ზიარებას ნიშნავს და ის არის შემკული უფლის სახელით, რაც დაფარულია და გაუთვითცნობიერებელია ყველა მორწმუნისათვის. არის მოსაზრება, რომ ჭადრაკის დაფაზე ლაზიერი, იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ლაზი ერი ანუ ქართული არეალი და ფენომენი.

„მდაბალი და დაწუნებული“ – არის მისტიკური ხედვა ენის გარეგანი მხარისა და მისი მდგომარეობისა წუთისოფელში, რაზეც ამბობს კიდევაც მათე მახარობელი, რომ: „ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გყუედრიდნენ და გდევნიდენ და თქუან ყოველი სიტყუაი ბოროტი თქუენდა მიმართ სიცრუით ჩემთვის“ (მათე 5.11). იოანე ზოსიმეს ქარაგმით და დაშიფრვით ქართული ენა ოთხი დღის, ანუ ოთხი ათასი წლის მკვდარია, ეს სიკვდილი, დამარხვა-შენახვა, დადაბლება, დაწუნება 4 ათას წელს გრძელდება. გამომდინარე იქიდან, რომ „ქებაი“ წარმოადგენს X საუკუნის ძეგლს, საგულისხმოა, რომ იოანე-ზოსიმემ თავის ახ. წ. აღ. X საუკუნით დაასრულა 4 ათასი წელი, რადგან ძვ. წ. აღ. 3 ათას წელს ემატება, ახ. წ. აღ. 1000 წელი და ახ. წ. X საუკუნიდან იწყება ქართული ენის ანუ ხალხის და და საერთოდ ქართული სახელმწიფოებრივი კულტურის აღდგომა-აღორძინება, რაც ქარაგმულად ასე ითქმება, მეორედ მოსვლა.

„ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაჲ“ ქართული ენის სადიდებელი ჰიმნია, რომელიც გვამცნობს მომავალში ქართული ენის აღორძინების ხანას და მისტიკურ ძალამოსილებას. „ქებაჲ“ 100 წლის წინ აღმოაჩინა ალ. ცაგარელმა იმ სინურ ხელნაწერებში, რომელიც გადაწერილია იოანე ზოსიმეს მიერ, ამიტომ ტრადიციულად „ქებაჲს“ ავტორად ასახელებენ იოანე ზოსიმეს.

„ქებაჲ“ პირველად შეისწავლა კორნელი კეკელიძემ და მანაც თხზულების შექმნის თარიღად X საუკუნე მიიჩნია, პავლე ინგოროყვამ კი, ლექსთაწყობის მიხედვით გამოთქვა აზრი, რომ „ქებაჲ“ წარმართული პერიოდისაა, ხოლო იოანე ზოსიმე – გადამწერია („დამჩხრეკია“) და არა ავტორი.

აკაკი ბაქრაძე ამ ნაწარმოებს IV საუკუნის ხანად მიიჩნევს, ხოლო რამაზ პატარიძემ მისი შექმნის თარიღად 342 წელი დაადგინა.

თხზულებაში იდუმალწერით მოცემულია შემდეგი შინაარსი, რომ ქართული ენა „მდაბალი“ და „დაწუნებული“-ა, რაც ნიშნავს, ერთი მხრივ, დაფარვას, დაშიფრვა ანუ დაწუნება-დადაბლებას, ასეთი ქარაგმები ზოგადად მიღებული იყო თეოლოგიურ დამწერლობაში. იგი (ენა) დამარხული და მძინარეა ისევე, როგორც ძე ღმერთის მეგობარი ლაზარე და, როგორც ვიცით, სახარება გვმოძღვრავს, რომ როდესაც ქრისტეს შეეგებება მართა და ელენე ანუ ძველი ენის სიმბოლოები, სთხოვენ, რომ გააცოცხლოს მათი ძმა წარმართი ლაზარე, რაც აღსრულდება კიდეც. ქრისტე გადააგორებს ლოდს, ოთხი დღის დამარხული ლაზარეს საფლავიდან. ამ უკანასკნელმა კი ნათელიღო ქრისტეს რელიგია და მისი სახით ენა ცოცხლდება. ფარნავაზის შემდეგ ქართული ენა კვლავ დაიმცრობა და მხოლოდ მეოთხე საუკუნეში აღორძინდება კვლავ, მირიან მეფის მიერ, მის აღორძინებაში კი დიდ წვლილს შეიტანს წმინდა ნინო. IV საუკუნეში არცერთ სხვა ხალხს არა აქვს წმინდა ნინოს ცხოვრება.

„ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“, ნიშნავს, რომ კაცობრიობის საზრისის საიდუმლო დაშიფრულად მოცემულია ქართულ ენაში. ქართული ენის კოდის გამშიფრავთა მონაცემებით ცნობილია, რომ ქართული ანბანი არის კოდირებული და დაბალანსებული 100%, რომლის მეშვეობით აეხსნება ფარდა კაცობრიობის არსებობის ყველანაირ საზრისს, საიდუმლოს და განვითარებებს.

მასალა მომზადდა გ. აბსანიძის და თ. თეზელიშვილის წიგნის „ქართული სულიერების და სახელმწიფოებრიობის საფუძვლების“ მიხედვით

სარწმუნოება

გზა გოლგოთისკენ

ვია დოლოროსას გზას გოლგოთის გზასაც უწოდებენ. ვია დოლოროსა არის სიმბოლური მსვლელობა იმ გზაზე, რაც პირობითად, მაცხოვარმა გაიარა შეპყრობიდან გოლგოთამდე – ჯვარცმამდე. არსებობს ჩვეულება, ქრისტიანებმა ეს გზა ჯვრებით ხელში გაიარონ. ქართველი მომლოცველების უმრავლესობას ხელში უჭირავს წმინდა ნინოს ან ბოლნური ჯვარი, რაც ძალიან გამორჩეული და შთამბეჭდავი სანახავია. ვნების პარასკევს ამ გზას გადის იერუსალიმის პატრიარქიც. ვია დოლოროსა – სიმბოლური მსვლელობა მოუყვება ქუჩას, რომელიც ამავე სახელწოდებას ატარებს. ქუჩა იწყება ლომების კარიბჭიდან, რომელსაც წმინდა სტეფანეს კარიბჭესაც უწოდებენ. მისი უმეტესი ნაწილი მუსლიმანურ კვარტალშია მოქცეული – ვიწრო, ქვებით მოკირწყლული, მთელ სიგრძეზე მუსლიმანთა საცხოვრებელი სახლებითა და სავაჭრო ჯიხურებით დატვირთული, გარკვეული მანძილის შემდეგ, ცენტრალური ქუჩით უერთდება მაცხოვრის აღდგომის ტაძარს, მეთერთმეტე საუკუნეში მუსლიმანების მიერ ტრადიციული, ქრისტიანული მსვლელობები იკრძალებოდა. ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის განთავისუფლების შემდეგ აღდგა ძველი ჩვეულება.

XIV საუკუნეში ფრანცისკანელმა ბერებმა დაადგინეს ძირითადი მარშრუტი და საბოლოო, დღევანდელი სახით ვია დოლოროსა, 14 შესვენებით, არსებული სხვადასხვა ვარიანტებიდან XVI საუკუნეში ჩამოყალიბდა.

გზაზე არის ნიშნულები – შესვენებები, რომლებიც დაკავშირებულია ჯვრით მაცხოვრის მსვლელობის დროს მომხდარ ფაქტებთან. არსებობს ჩვეულება ამ შესვენებებზე ლოცვების და სახარების შესაბამისი ადგილების კითხვისა. პირველი 9 შესვენება ვია დოლოროსას ქუჩას მიუყვება, ხოლო დანარჩენ 5 კი – მაცხოვრის აღდგომის ტაძარშია თავმოყრილი.

პირველი შესვენება არის პრიტორია, ანტონიუსის რომაული ციხე, სადაც რომაელი პრეფექტი ასამართლებდა ადამიანებს. სწორედ აქ მოხდა პილატეს მიერ მაცხოვრის გასამართლება. აქ ახლა მუსლიმანური სკოლის შენობაა და შემორჩენილია თაღი, სადაც გადმოდგა პილატე და ხალხის წინაშე დაიბანა ხელი, მაცხოვრის სასიკვდილო განაჩენში მისი არა თანამონაწილეობის უარყოფის ნიშნად.

მეორე შესვენება პირველთან ძალიან ახლოსაა და სავარაუდოდ აქ უნდა ყოფილიყო მაცხოვრის გაშოლტვის ადგილიც.

მესამე შესვენება გამოყოფილია მაცხოვრის პირველი დაცემის აღსანიშნავად. აქ აგებულია სომხური სამლოცველო. გვერდითაა მეოთხე შესვენებაც – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და მაცხოვრის შეხვედრის ადგილი. აქედან მოყოლებული გოლგოთამდე, ღვთისმშობელი არ მოშორებია თავის შვილს და უკან მიჰყვებოდა მსვლელობას.

მეხუთე შესვენების ადგილიდან ვეღარ შეძლო მაცხოვარმა თავისი მძიმე ჯვრის ზიდვა. აქ არის ადგილი, რომელსაც ხელით მიეყრდნო დაუძლურებული იესო ქრისტე. ჯვარი გოლგოთამდე ყანიდან მომავალმა სიმონ კვირინელმა ატარა. ის მარკოზ მახარებელს მოხსენიებული ჰყავს, როგორც ალექსანდრესა და რუფის მამა.

მეექვსე შესვენება უკავშირდება გადმოცემას ვერონიკას შესახებ.

ვერონიკა გაიგივებულია თორმეტი წლის სისხლმდინარე ქალთან, რომელიც მაცხოვარმა განკურნა კაპერნაუმში.

მეშვიდე შესვენება არის ადგილი, სადაც მაცხოვარი მეორეჯერ დაეცა.

დანარჩენი ხუთი შესვენება არის მაცხოვრის აღდგომის ტაძარში: მეათე შესვენება არის ადგილი, სადაც მაცხოვარს ტანსაცმელს განძარცვავენ, მეთერთმეტე ის ადგილია, სადაც მისი ჯვარზე მილურსმვა მოხდება; მეთორმეტე ჯვარცმის ადგილი – გოლგოთა, მეცამეტე გარდამოხსნაა, სადაც ახლა მწუხარე ღვთისმშობლის სკულპტურაა დაცული, მეთოთხმეტე კი მირონცხების ქვა და მაცხოვრის საფლავია.

ვია დოლოროსას სიმბოლურ გზაზე მდებარეობს მეთორმეტე საუკუნის ტაძარი, ანას სახლი, სადაც მოხდა ღვთისმშობლის შობა. გადმოცემით, აქ ცხოვრობდნენ ღვთისმშობლის მშობლები – იოაკიმე და ანა.

პილატედან ჯვარპატიოსნამდე



პილატემ, რომაული სამართლის მიხედვით ვერავითარი დანაშაული ვერ აღმოუჩინა მაცხოვარს და ისიც იცის, რომ მართალი ადამიანი მას ებრაელებმა შურის გამო გადასცეს. ამიტომ, მაქსიმალურად ცდილობს, თავი აარიდოს სასიკვდილო განაჩენის გამოტანას. გაიგებს რა, რომ ქრისტე გალილეიდან არის, პატიმარს გასასამართლებლად იერუსალიმში ჩამოსულ გალილეის მმართველს, ჰეროდეს უგზავნის. ჰეროდე, უდანაშაულობის გამო, უკან უბრუნებს პატიმარს რომაელ მმართველს... სამოქალაქო შფოთის თავიდან აცილების მიზნით, პილატე გააშოლტვინებს მაცხოვარს და ასე დასჯილს წარუდგენს ებრაელებს. მღვდელმთავრებისგან წაქეზებული ბრბო კვლავ დაჟინებით ითხოვს სასიკვდილო განაჩენს. რომაელ პრეფექტს ჩვეულება ჰქონდა ერთი პატიმრის შეწყალებისა და ამ შესაძლებლობის გამოყენებასაც ცდილობს. მაგრამ ბრბო მეორე პატიმარს, ავაზაკ მკვლელს, ბარაბას აირჩევს. სწორედ აქ გვეძლევა საშუალება მაშინდელი საპყრობილის ნახვისა. ებრაელები დიდ ზეწოლას ახდენდნენ პილატეზე. ისინი გაჰყვიროდნენ: ჩვენ არ გვყავს მეფე გარდა კეისრისა. თუკი შენ არ დასჯი თვითმარქვია იუდეველთა მეფეს, კეისრის მტერი გამოდიხარო და ასე, ბევრი უშედეგო მცდელობის შემდეგ, პილატე იძულებულია, ჯვარზე გაკვრის განაჩენი გამოუტანოს მაცხოვარს. განაჩენის მიხედვით, მაცხოვარს აჰკიდებენ ჯვარს და წაიყვანენ გოლგოთისკენ, სადაც ჯვარცმა უნდა აღსრულდეს.

არსებობს გადმოცემა, რომ ღვთისმშობელი პილატეს სთხოვდა, არ გამოეტანა სასიკვდილო განაჩენი... აქ, ძველი ბერძნული ტაძრის ნანგრევებზე აშენებულია კათოლიკური ტაძარი, რომელშიც შემორჩენილია ძველი ბერძნული მოზაიკა ორი სანდლის გამოსახულებით. ისინი ღვთისმშობლის სანდლებად მოიაზრება. სწორედ აქ ელოდებოდა ღვთისმშობელი მსვლელობას.

გადმოცემის მიხედვით, ვერონიკა მადლიერი იყო დიდი სასწაულის გამო და კაპერნაუმიდან ჩადის იერუსალიმში, მიდის სამსჯავროზე პილატესთან და სთხოვს, მაცხოვარი არ დასაჯონ. აღიარებს, რომ განიკურნა მხოლოდ ქრისტეს სამოსის შეხებით. ებრაელები მიუგებენ: წესად არ გვაქვს ქალის ნაამბობი ჭეშმარიტებად ჩავთვალოთო. ვერონიკა გზაზე ხვდება მაცხოვარს და მიაწოდებს სამად მოკეცილ თავსაბურავს, სახეზე ოფლის მოსაწმენდად. ამ ტილოზე გაჩნდება მაცხოვრის სახის სამი გამოსახულება. კათოლიკური სამყარო მიიჩნევს, რომ ეს არის ხელთუქმნელი ხატი – ვერა იკონ, რაც ითარგმნება როგორც ჭეშმარიტი სახიერება. ამ ქალის სახელიც, ვერონიკაც, აქედან უნდა წარმოდგებოდეს. ერთი პირი – ღვთისა ინახებოდა იერუსალიმში, მეორე – რომში, მესამე კი – ესპანეთში, ქალაქ ხაენში. რომში ამ გამოსახულების მოხვედრის შესახებ არსებობს გადმოცემა. რომის იმპერატორი განუკურნებელი თავის ტკივილით იტანჯებოდა. მას აცნობეს, რომ პალესტინაში არის ვიღაც მკურნალი, რომლის სიტყვებითაც სნეულები იკურნებიან. მან პილატეს გამოუგზავნა შეტყობინება, რომში გაეგზავნათ მკურნალი, მაგრამ უკვე სასჯელი აღსრულებული იყო. მაშინ პილატემ მაცხოვრის ხელთუქმნელი გამოსახულება გაუგზავნა იმპერატორს, რომელთანაც შეხების შემდეგ, ტიბერიუსი განიკურნა. მან სენატის წინაშე აღიარა მაცხოვრის ღვთაებრიობა და აკრძალა ქრისტიანების დევნა მთელ რომის იმპერიაში.

სალიმის ძველი კარიბჭე, რომელიც ნემსის ყუნწის სახელწოდებით იყო ცნობილი, ღამით იერუსალიმის კარიბჭეები იკეტებოდა. დაგვიანებულ მგზავრს იერუსალიმში მხოლოდ ამ ვიწრო კარიბჭით დახრილ მდგომარეობაში შეეძლო შესვლა. იქ ვერ გაეტეოდა აქლემი, რომელიც თანამედროვე აქლემზე გაცილებით მცირე ზომისა იყო და მაშინ გადაადგილების საშუალებას წარმოადგენდა.

სახარებიდან გვახსენდება ერთი ადგილი, როდესაც მაცხოვარს ეკითხებიან: ცხონდება თუ არა მდიდარიო? მაცხოვარი პასუხობს, რომ როგორც აქლემს გაუჭირდება ნემსის ყუნწში გასვლა, ისე მდიდარს – სასუფეველში მოხვედრაო. საუბარია, სწორედ ამ კარიბჭეზე – ამ „ნემსის ყუნწზე“.

ქრისტიანულ იერუსალიმს უდიდესი და შეუფასებელი ღვაწლი დადო ელენე დედოფალმა. მის სახელთანაა უპირველესად, დაკავშირებული მაცხოვრის ტაძრის მშენებლობა, სადაც მან ერთად მოაქცევინა გოლგოთა და ყველა ის სიწმინდე, რაც ამ ტაძარშია დაცული. დღეს ამ ტაძარში, გაშოლტვის ნიშაში, მოთავსებულია გაშოლტვის ქვა, რომელსაც დიდხანს თუ დაადებთ ყურს, გაშოლტვის ხმასაც გაიგონებთ. ელენე დედოფალთან დაკავშირებით, არსებობს გადმოცემა. მას შემდეგ, რაც რომის იმპერიაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადეს, ის, IV საუკუნეში, პირველად ჩავიდა იერუსალიმში და გადაწყვიტა მოეძებნა ყველა წმინდა ადგილი. მას უკავშირდება იმ ჯვრის პოვნა, რომელზეც მაცხოვარი იყო გაკრული. მან ერთ-ერთი მოხუცი ებრაელისგან შეიტყო, სად ყრიდნენ ისინი ჯვრებს ჯვარცმის შემდეგ. მან იმ ადგილზე მიიყვანა მუშები, რომელთაც თავად დაადგა თავზე, სიცხის გამო მუშაობა რომ არ შეეწყვიტათ. წახალისების მიზნით კი, შრომითა და სიცხით დაღლილ მუშებს, ოქროსა და სხვადასხვა ძვირფასეულობას აძლევდა. ახლაც არის ჯვრის პოვნის ტაძარში ის ადგილი გამოყოფილი, სადაც ელენე დედოფალი იდგა და მეთვალყურეობდა ჯვრის პოვნას. მონიშნულ ადგილზე მუშებმა სამი ჯვარი იპოვეს – სწორედ მაცხოვართან ერთად ჯვარს აცვეს ორი ავაზაკი, მაგრამ არ იცოდნენ, რომელი იყო მათ შორის ჯვარი პატიოსანი. ელენე დედოფალს უთხრა იერუსალიმის პატრიარქმა: მიცვალებულს მოასვენებენ, სამივე ჯვარი შევახოთ, და რომელზეც აღდგება ის იქნება ჯვარი პატიოსანი. მაცხოვრის ჯვრის შეხებისას აღდგა მიცვალებული და დაწესდა ჯვრის ამაღლების დღესასწაული. ეს უდიდესი სიწმინდე დაიკარგა მას შემდეგ, რაც იერუსალიმი აიღო სალადინმა. არსებობს თქმულება, რომ თამარ მეფემ სალადინს იმ ჯვრის გამოსასყიდად დიდძალი თანხა – 200000 დინარი შესთავაზა, მაგრამ უშედეგოდ. ამ ჯვრის ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია. მისი ისტორია სალადინთან იკარგება. დღემდე შემორჩენილია სიწმინდეები, რომელშიც ჩადებული იყო ძელი პატიოსანის ნაწილები. საქართველოში ინახებოდა ორი სამსჭვალი, ანუ ლურსმანი და ფიცარი, რომელზედაც მაცხოვრის ფეხები მიალურსმეს. გადმოცემით ერთი სამსჭვალი არჩილ მეფემ მოსკოვში წააბრძანა, მეორე სამსჭვალი ახლაც საქართველოშია დაცული. ეს უდიდესი სიწმინდეები საქართველოში გამოაგზავნა კონსტანტინე დიდმა, მას შემდეგ, რაც მირიან მეფემ საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

ვოეზია

გიორგი მეკოკიშვილი



ფიქრი ჯარვილზე;

შენისლულ ჰაერს ლანდად გაჰკრავს
ოქროს სხივები,
მიწის ოფლიან პირისსახეს მზემაც
დახედა,
ოღონდ გაწვიმდეს, შემოდგომის გამოსხ-
ივებით
ოღონდ გაწვიმდეს, არ აკმაროს სითბოს
გახედვნა..

მტვრიანი თარო, გადაშლილ წიგნს სძი-
ნავს გულაღმა,
ლუპით დამწვარი შემოდგომის ჭრელი
ფოთლები
მიდი გაწვიმდი, ამდენ ცრემლებს ვიღას
უნახავ,
გაუფერადე დედამიწას უშნო წორფლე-
ბი..

ოღონდ გაწვიმდეს, შენთან მაინც არ
ითავხედოს,
გიორგი საგარეჯოელია, 19 წლის. საგარეჯოს მეოთხე საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. სულ ორიოდე წელია, წერს ლექსებს. 2010-2011 წლებში უნივერსიტეტში სამჯერ გაიმართა გიორგის პოეზიის საღამო. საამაყოა, რომ იგი ლიტერატურული საიტის ურაკპორაკი.კომ-ის რჩეული ავტორია 103 მწერალს შორის. 2011 წელს კულტურის სამინისტროს მიერ ჩატარებულ კონკურსში 40 ათას ჩანახატს შორის მისი ჩანახატი „2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ჯარისკაცის დღიურიდან 25 საუკეთესოს შორის მოხვდა. საქართველოს კულტურის სამინისტროს ეგიდით გამოცემულ სტუდენტურ კრებულში, რომელშიც სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტების რჩეული ნაწარმოებები შევიდა – 8 ლექსი გიორგის შემოქმედებიდან იყო.

დღეს გიორგი თავისი ლექსებით ჩვენი გაზეთის სტუმარია. ლექსებით გილოცავთ სიყვარულის დღეს და ლურჯ აპრილს.

ისე გაწვიმდეს, ქოლგას ვინმე გამვლელს
აწვდიდე,
გაწვიმებულმა მზიან სულში მინდა
ჩაგხედო,
კოცნაც მოგპარო, წამიერად მაინც
გაწვიმდეს..

სულ შეიცვალა, შეიშალა მოდგმა ღმერ-
თების,
შუა იანვარს გვაბედებენ მზიან ამინდებს,
წვიმად წამოდი, სანამ სულ მთლად გა-
დათეთრდები,
ლონდონურს არ გთხოვ, თბილისურად
მაინც გაწვიმდი..

რა კარგი იყო შემოდგომის უამინდობა,
მერე მე და შენ როგორ გვიყვარს თავსხ-
მა ვედრიდან,
გაღმერთებული ნოემბერი უმზეო დღეებს
რას ვიფიქრებიდი ზამთარში თუ დაგ-
ვაყვედრიდა..

ეს ცხოვრება ჩვენზეა, წვიმაზე ქარზე,

ამ დროს იებსაც ქალის სუნი აქვთ,
სატრფოს მზერით რომ მკერდს
დაბლა დაჭრი
- ეს აპრილური სიყვარულია..
სიყვარულია როცა მასთან ხარ,
ვერ გრძნობ ვერც წყურვილს,
სიცივეს, შიმშილს,
სიყვარულია, რომ გაგიყვებს თან
მასსავით ნერვებს ვერავინ გიშლის..
როცა გრძნობები ვერ ჩერდებიან,
როცა ფხიზელი ხვდები აისებს,
ვარდებიც მაშინ აფეთქდებიან
მარტი პირდაპირ გაიმაისებს..
თუ ცრემლი არ გდის სასოწარკვეთილს
თუ სიყვარულთან კვლავ ნულ-ნულია,
თუ გაზაფხულზე გოგოს არ ეტრფი,
აბა ის რადა გაზაფხულია..

როსტომ როსტიაშვილი

* * *

შენზე ვფიქრობდი დიდხანს,
დაბადებიიდან თითქმის,
არც არავისთვის მითქვამს –
თითქოს ადვილად ითქმის.
მე კი შენით ვარ მხოლოდ
სიცოცხლის ნიშან-წყალით,
შენ იმედი ხარ ბოლო,
ნავსაყუდელი – ნავით!
შენა ხარ წვიმის წვეთი
და საახალწლო თოვა,
შენ მდინარე ხარ ერთი –
თავის დახრჩობის ნდომა!
შენა ხარ თეთრი სხივი
გამოტყორცნილი მზიდან,
აკრძალული ხარ ხილი,
მოსაწყვეტი ხარ ხიდან.
შენ ელვაცა ხარ ჩემთვის,
ჭექა-ქუხილთან ერთად,
იებს რომ ვკრეფდი შენთვის,
ჩიტები სტვენდნენ ერთხმად.
შენა ხარ ცეცხლის სითბო –
წიფლის ხეების ალით,
შორიდან ვობები ვითომ,
ვცოცხლობ იმედით-ხვალით,
აღელვებული ზღვა ხარ,
ცურვა ვისწავლო მინდა,
გაკვირვებული რად ხარ
თავსაც მოვიკლავ გინდა!
შენ სიმღერა ხარ ლაღი,
სვედანარევი ტონით,
შუბლზე მატყვია დაღი –
არ არსებული კოცნით.
შენ ნიავი ხარ გრილი
ზაფხულის თეთრი ღამის,
გული მაქვს გამოხრილი
სისხლიც გამიშრა ლამის.
თუ წამოხვედი ჩემსკენ,
თუ მომასწარი კიდევ,
მესმის – ზარები რეკენ
იქნებ ვიცოცხლო ისევ...
ყოველ წამს ვფიქრობ შენზე
რით დაგიმტკიცო რითი!
წარსული გდია სხვენზე –
დავიწყებული ნივთი...
შენ დარდიცა ხარ ჩემი –
უცრემლო ფიქრის გორა,
თუ გსურს შეხვედრა ჩვენი,
გამომიგზავნე მონა!
შენა ხარ ცაც და მიწაც,
ყველაფერი ხარ ირგვლივ,
შენ აზრიცა ხარ, რითაც
სამყარო წამებს ითვლის!
თაიგული ხარ დიდი –
მინდვრის ყვავილთა წყება,
მიმზერს თვალები მშვიდი
და სასწაული ხდება:
ყვავილებიდან ქალი,
გადმოდის გნოლის ტანით,
ფართოდ გავუღე კარი,
სახლი გავუთბე ცეცხლით,
ღიმილი ჰქონდა ღმერთის,
ვერ ვნახე სხვაგან ვერსად,
შემომხედა კი ერთი –
და გადაიქცა ლექსად.
ამ ღიმილს ვეძებ ყველგან –
სადაც არ არის იქაც!
იმედი მინდა შენგან –
უნდა ვიცოცხლო, რითაც!
შენზე ვფიქრობდი დიდხანს,
დაბადებიდან თითქმის,
არც არავისთვის მითქვამს –
თითქოს ადვილად ითქმის...

თეა გურგენიძე

ვროეზია

მეჰრიბანი

ნამდვილი ამბავი

ლარის წყალთან ბავშვები თამაშობდნენ. ფეხშიშველა გოგობიჭები კისკისით დარბოდნენ. მომუჭულ, ციცქნა ხელებს ივსებდნენ წყაროს წყლით და ზაფხულის მცხუნვარე მზით დამწვარ სახეში აშხეფებდნენ ერთმანეთს. მათი მხიარულება მთელ უბანს იკლებდა.

იქვე, ღობის ძირში გოგონა მიყუჟულიყო. გრძელი, დატალღული თმები პატარა მხრებზე ჰქონდა ჩამოშლილი. ჟუჟუნა თვალებში სევდა ჩასდგომოდა. იჯდა თავისთვის. არ იზიარებდა ბავშვების მხიარულებას. დარდსა და სიმარტოვეს შეჩვეული, ოცნებებში პოულობდა თავისი დიდი ტკივილის წამალს. მომფერებელი და დამყვავებელიც არავინ ჰყავდა, დედასავით თბილად არავინ ჩაიხუტებდა გულში. მოხუცი ბებო ძლივს დაფარფატებდა ეზოში, რეცხავდა, ალაგებდა, სადილს ამზადებდა. სად ეცალა ბავშვის საფერებლად?!. ბავშვს კი საჭმელსა და დალაგებულ სახლზე მეტად მისი სითბო და სიყვარული სჭირდებოდა. თვალზე ცრემლებმომდგარი უყურებდა, მისი ბიცოლა ქამალე სიყვარულით ეალერსებოდა პატარა ჰასანს. არა, არც მისთვის იშურებდა სითბოსა და სიყვარულს, მაგრამ...

ტირილში ჩაძინებული, სიზმარში ყოველღამე ხედავდა დედას, რომელიც თბილად, ძალიან თბილად იხუტებდა გულში და გრძელ თმებს თლილი თითებით უვარცნიდა. მძინარე მეჰრიბანს ბედნიერების შუქი ედგა სახეზე. დილით ღიმილით იღვიძებდა, წამოხტებოდა საწოლიდან და ფანჯარასთან მიირბენდა, იმედით, იქნებ დედა ისევ ბაღშია და მე მელოდებაო. მაგრამ ცარიელი ბაღის დანახვაზე გული ტკივილით, თვალები კი ცრემლებით ევსებოდა, იმედგაცრუებული ჩარგავდა ბალიშში თავს და აქვითინდებოდა.

ტირილში გაიარა მისმა ბავშვობამ. ტირილსა და ოცნებაში. წამოიზარდა პატარა გოგო...

მეჰრიბანის შეხედვა მტერს და მოყვარეს ერთნაირად ახარებდა. გულიც რომ სიყვარულით და სითბოთი ჰქონდა სავსე!..

– ჩვენი გაჭირვების ტალ-კვესია, მოარული სიკეთე, ღმერთმა წყალობა არ მოაკლოსო, – ლოცავდნენ მეზობლები.

ერთხელ, თუნგმოკიდებული მეზობლის ქალებთან ერთად წყაროდან სახლში ბრუნდებოდა. უცებ ორღობიდან დამფრთხალი ცხენი გამოვარდა. ქალები კივილით გაიფანტნენ აქეთ-იქით. მეჰრიბანი კი იდგა შუა გზაზე გახევებული, გაფითრებული, აკანკალებული. იგრძნო, როგორ ახლოს იყო სიკვდილი. იგრძნო და შეეშინდა. მაგრამ გადარეული ცხენი უცებ გაჩერდა, ყალეზე შედგა, წინა ფლოქვებით მიწა დატორა. ოფლში გახვითქული მთელი ტანით კანკალებდა, გაფართოებული ნესტოები უცახცახებდა და ცხელ ოხშივარს აფრქვევდა. მერე მიუახლოვდა აკანკალებულ მეჰრიბანს და თავი მხარზე დაადო. იდგნენ ასე გაყუჩებულნი და ერთმანეთის გულისცემას უგდებდნენ ყურს.

ორღობიდან მალე აქოშინებული ვაჟი გამოვარდა, ცალ ხელში მათრახი ეჭირა, მეორეში შავი ფაფახი. დამშვიდებული ცხენი და მეჰრიბანი რომ დაინახა, შეჩერდა. მონუსხული შეჰყურებდა ქალს, აღარ ახსოვდა რისთვის მოსულიყო. ისევ ქალების შეძახილმა გამოაფხიზლა, ცხენთან მივიდა, ფაფარში ხელი ჩაავლო და ქალს მოაშორა. მიჰყავდა ნიზამს ფაფარში ხელჩაკიდებული ცხენი და ცალი თვალი ქალისკენ რჩებოდა. თითქოს მდვიმეში ჩირაღდანი აანთესო, ისე განათდა ვაჟის გული. განათდა და გათბა რაღაც სხვა, ახალი, დღემდე განუცდელი გრძნობა დაეუფლა. გული იგრძნო და ... გაუღიმა.

მეჰრიბანის გულშიც გალხვა ყინული. საქმობდა მთელი დღე სახლში და თვალწინ ფაფარაშლილი, გადარეული ცხენი და ვაჟი ედგა. მზეც თითქოს სხვანაირად ანათებდა, ცაც უფრო ცისფერი იყო, ჩიტებიც უფრო ტკბილად გალობდნენ. იმ ღამეს სიზმარში დედის ნაცვლად ნიზამი ნახა; ბიჭი მინდორში მიაჭენებდა ცხენს, ხელში მინდვრის ყვავილებით დაწნული გვირგვინი ეჭირა. არც დილით გადაუხედავს მეჰრიბანს ჩვეულებისამებრ ფანჯრიდან ბაღში...

რა გააძლებინებდა ნიზამს დიდხანს, ბიძა მიუგზავნა მეჰრიბანის ბებოს შუამავლად. გაიხარა მოხუცმა შვილიშვილის ბედნიერებით, ბოლო მოედებაო ჩემი ნუგეშის ტანჯვას, მისთვისაც მოიცალაო ღმერთმა. თუმცა მეჰრიბანის ბიძების ჩამოსვლამდე ნიშნობა არ ინდომა. მათი გაზრდილიაო გოგო და უიმათოდ როგორ ავიღოო ნიშანი.

ოქტომბრისა და ბიძების ლოდინში ამოუღამდათ თვალები ქალ-ვაჟს.

– მეჰრიბან, თქვენები მოდიანო, მთიდან შემოგითვალეს: პური დაგვახვედრეო გამომცხვარი, სტუმრები გვეყოლებაო, შენმა ბიძებმა – ჩამოსძახა მეზობლის მუსამ გათენებისას.

ცა გაეხსნა მეჰრიბანს.

საღამოს მოადგნენ ცხენებითა და ცხვრის ფარით ბიძები და მათი ჯალაბობა ეზოს. ციბრუტივით ტრიალებდა მეჰრიბანი, საცაა დაადგებაო ჩემს ტანჯვას საშველი.

– მიდი პატარძალი, ნოემბერში ქორწილს გიპირებო, – შესძახა ზელიმხანმა ძმისშვილს.

გოგოს გული გადაუქანდა სიხარულით, როდის მოასწრო ბებიამ თქმა.

დაღამებამდე მოუნდნენ ბარგისა და ცხვრის დაბინავებას, სტუმრებმაც დაიგვიანეს. გვიან შემოუსხდნენ სუფრას დაღლილები. ოჯახი დალოცეს, ბედნიერება და გამრავლება უსურვეს.

– უნდა დავნიშნოთო ქალი, რაღას ველოდოთო, – ზელიმხანმა, – ქმარიც შესაფერისი გიპოვნეო, – გაუღიმა მეჰრიბანს და სტუმრად მოსულ ახმახ ვაჟს წამოარტყა ხელი ბეჭებზე.

გაფითრდა მეჰრიბანი.

– რა იყო ქალო, განა ცარიელი მოვედიო?! – ჯიბიდან განასკვული ცხვირსახოცი ამოიღო ვაჟის დედამ, გახსნა, ბრილიანტის საყურეები აბრდღვიალდა სინათლეზე – ეს რა არის, კიდობანი სავსე მაქვსო შენთვის, ჩემო რძალო, ზიზილ-პიპილებით, ოქროსფრად მოქარგული, წითელი თავსაფარი გადააფარა თავზე.

გაშრა გოგო, თვალთ დაუბნელდა.

– რაღას ველოდოთო, არ ღირს ქორწილის გადადება, ღვთის წყალობით არაფერი გვაკლია და ნოემბერში წავიყვანთო ბარემ, – ენად გაიკრიფა დედაკაცი.

ჭიქების წკარუნი ისმოდა მთელი ღამე. ეზოში გამოვიდა მეჰრიბანი. მთვარეც ნასვამივით ბარბაცებდა ცაზე. თავშალი მოიხადა, ნიშნობის საყურეები გაახვია და აკაციის ძირში, ლოდზე დადო. უხმოდ გავიდა ეზოდან, გზას გაუყვა. ქარი თმას უწეწავდა ცხოვრებააწეწილს. გზაზე გავიდა, ორღობე ჩუმად ჩაიარა, კალაპოტში ვედარ ეტეოდა იორი, შავი მოდიოდა ღამესავით, ტალღებს ერთმანეთზე აგორებდა, ხეები მოჰქონდა ფესვიანად მოგლეჯილი.

თვალები აღაპყრო ცისაკენ, მაპატიეო, – შესთხოვა უფალს და ხიდიდან წყალში გადაეშვა.

... დილითღა გაიგეს მისი აღარყოფნა. ქოში ეპოვნა მენახირეს ხიდზე და თმაგაწეწილ, ლოყებდახოკილ მოხუცს მიუტანა.

ჭადრაკი

ამჯერად გოგონებმა იმარჯვეს

14-23 მარტს თბილისის ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის გათამაშება 10 წლამდე ასაკის მოჭადრაკე ჭაბუკებსა და გოგონებს შორის. შეჯიბრებაში, რომელიც 9 ტურად ჩატარდა, მონაწილეობდნენ საგარეჯოს №69 სასპორტო სკოლის აღსაზრდელები: ლალი გარსიაშვილი, ეთუნა ხებრელაშვილი, ნიკოლოზ კევლიშვილი, თამაზ გოდერძიშვილი და სხვები. მათგან ეთუნა ხებრელაშვილს და ნიკა კევლიშვილს ორი წლით უფროს ასაკში მოუწიათ თამაში. თამაზ გოდერძიშვილი კი პირველად თამაშობდა ასეთი რანგის შეჯიბრებაში. სულ ასპარეზობაში ვაჟებში 45, გოგონებში კი 15 მოჭადრაკე იღებდა მონაწილეობას, რომელთაგან პირველ ათეულში გასული მოჭადრაკეები მონაწილეობას მიიღებენ ამავე ასაკში გამართულ საქართველოს ჩემპიონატში.

ჩვენი მოჭადრაკეებიდან ეს პატივი ორმა გოგონამ: ლალი გარსიაშვილმა (მწვრთ ე. ფარეშიშვილი) და ეთუნა ხებრელაშვილმა (მწვრთ თ. კობიაშვილი, დ. გურგენიძე) მოიპოვეს. კერძოდ – ლალიმ 5.5 ქულით შეძლო მეხუთე ადგილის დაკავება, ხოლო ეთუნამ 4.5 ქულით 8-10 ადგილები გაიყო.

არ გაუმართლა ჩვენს პატარა მოჭადრაკეს, გასულ წლის კახეთის ჩემპიონს ნიკა კევლიშვილს. მან ასპარეზობაზე 5 ქულის დაგროვება კი მოახერხა, მაგრამ დამარცხდა მეცხრე ტურში და ათეულს მიღმა დარჩა.

ათეულს მიღმა დარჩა თამაზ გოდერძიშვილიც (მწვრთ. ი. ქვლივიძე), რომელმაც მხოლოდ 4.5 ქულის დაგროვება შეძლო.

გივი დაბახიშვილი

გარეჯელი ბიჭებისა და თელაველი გოგონების ტრიუმფი

1 აპრილს საგარეჯოს ახალგაზრდულ ცენტრში ჩატარდა კახეთის ჩემპიონატი ჭადრაკში 8 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის. საუკეთესოს გამოსავლენად 9 გოგონა და 9 ბიჭი ჩაება. შეჯიბრი შვეიცარიული სისტემით 7 ტურად ჩატარდა.

ჩემპიონატის მნიშვნელობა იმით იყო საინტერესო, რომ გამარჯვებული პირდაპირ იღებდა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საგზურს შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში.

დაძაბული სატურნირო დღის შემდეგ



ასეთი შედეგები დაფიქსირდა: ბიჭებს შორის საპრიზო ადგილები არავის დაუთმეს საგარეჯოელებმა. 6 ქულით 7 შესაძლებლობიდან პირველი ადგილი დაიკავა ნიკა კევლიშვილმა (მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე). მეორე ადგილზე 5 ქულით ლუკა გურჯიძე გავიდა (მწვრთნელები: თენგიზ კობიაშვილი და დავით გურგენიძე); ხოლო მესამე ადგილზე 4.5 ქულით თამაზ გილაშვილი დამკვიდრდა.

გოგონებს შორის კი თელაველებმა გაინაწილეს საპრიზო ადგილები. პირველი ადგილი 6 ქულით დაიკავა თამთა ტასოშვილმა, მეორე – ანა მიქენაიამ (კოეფიციენტით) – 4 ქულა, ხოლო მესამე – ანანო კახეთელიძემ 4 ქულა. ამგვარად, საქართველოს ჩემპიონატის საგზურები მოიპოვეს ნიკა კევლიშვილმა და თამთა ტასოშვილმა.

შეჯიბრების შესახებ შთაბეჭდილების გაზიარება ვთხოვეთ კახეთის ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ჯიმი ჯავახიას.

– კახეთის ჩემპიონატი 1974 წლის შემდეგ აღარ ჩატარებულა და მხოლოდ ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტის, კახეთის გუბერნატორის გიორგი ღვინიაშვილის ძალისხმევით გახდა შესაძლებელი მისი განხორციელება. აღსანიშნავია, რომ კახეთს ამჟამად ჰყავს 6 საერთაშორისო დიდოსტატი ქალთა შორის და ერთი საერთაშორისო ოსტატი. მაგრამ ამაზე არ ვჩერდებით და ვცდილობთ ახალი სახეები გამოვავლინოთ. ამისათვის შარშან 11 ჩემპიონატი ჩავატარეთ. დღეს 8 წლიანებში გამოვავლენთ საუკეთესოებს, 13 აპრილს კი თელავში 10 წლიანებში ჩატარდება კახეთის ჩემპიონატი.

დღეისათვის თელავი ერთგვარ საჭადრაკო ცენტრს წარმოადგენს კახეთისათვის, მაგრამ ბოლო ხანებში გაძლიერდნენ სხვა რაიონებიც. კარგი, პერსპექტიული ბავშვები ჰყავთ გურჯაანს, საგარეჯოსა და სიღნაღს. შარშან ჩავატარეთ კონკურსი და საუკეთესო მწვრთნელად რეგიონში ირაკლი ქვლივიძე ვაღიარეთ, ხოლო ყველაზე პერსპექტიული მოჭადრაკის ტიტული ნიკა კევლიშვილს მივაკუთვნეთ. საგარეჯოში სხვა კარგი ბავშვებიც გყავთ, მაგალითად ეთუნა ხებრელაშვილი. თუ ეს ბავშვები მონდომებას არ დაიშურებენ, აქვთ შანსი მიაღწიონ სერიოზულ წარმატებებს.

ხსოვნა

ვალიკო ნანუაშვილი



ეს პირველი აღდგომაა უშენოდ. 8 თვეა რაც დატოვე ეს წუთისოფელი. დატოვე შენთვის სრულიად მოულოდნელად. დატოვე აქაურობა, სააქაო და დატოვე დიდი სევდა, რომელიც არასოდეს განელდება.

ეს დიდი სევდაა, რომელიც შეიძლება მხოლოდ ოჯახის წევრის დაკარგვით კი არა, ყველასათვის სათნო ადამიანის დაკარგვით იყოს გამოწვეული. გიყვარდა შენი ოჯახი, პატივს სცემდი ყველას: მეუღლეს, შვილებს და შვილიშვილებს, მეზობლებსა და ახლობლებს. იყავი ერთგული, მშრომელი და პატიოსანი კაცი (რომელსაც შვილებისა და შვილიშვილებისათვის არც ამაგი და არც სიყვარული დაგიკლია), დაიხარჯე ბოლომდე, მაგრამ შრომისაგან დაღლილი მაინც ვერ ისვენებდი და სულ ცდილობდი საქმე გეკეთებინა. დატოვე დიდი სიყვარული და მონატრება. პატარები თუ დიდები სულ შენ ხსენებაში ვართ: 2 წლის ნინო ყოველდღე შენს სურათებს ეფერება.

მინდა გაგახარო და გამცნო, რომ ჩვენ შვილთაშვილები ტყუპები შეგვეძინა: დაჩი და ელენე – ძალიან გახარებული ვართ ყველანი.

დალოცე შენი შთამომავლები, ესენი კი გიხსენებენ წმინდა ლოცვებში.

მადლობა ყველაფრისათვის, რაც შენ ნაამაგარი და თბილი მოსაგონარი დატოვე.

ღმერთმა ნათელში დაამკვიდროს შენი უკვდავი სული, იქ, სადაც მართალნი განისვენებენ, შენ, მართლაც შრომით დაღლილო ადამიანო.

მშვიდი და ტკბილი აღდგომა ყოფილიყოს შენთვის და ყველა მიცვალებულისათვის!

შენი მონატრული მეუღლე, შვილები და შვილიშვილები

გაზეთ „გარეჯის მაცნეს" თანამშრომლები თანაგრძნობას უხცადებენ თამარ ლაფაჩიშვილს შვილის

ოთარ ლაფაჩიშვილის

გარდაცვალების გამო.

განცხადება

იყიდება სახლი საგარეჯოში, ერეკლე II-ის ქუჩა მეექვსე ჩიხი, №3-ში. სახლი ორსართულიანია, კარგ მდგომარეობაში, 400 კვ. მეტრი ნაკვეთით.

დაგვიკავშირდით 574 63-88-77

გოჩა მალაშხია

მსოფლიოს საერთაშორისო სამოდელო კონკურსისათვის შეირჩნენ კონკურსანტები

4 აპრილს საერთაშორისო სამოდელო ორგანიზაცია „ინტერნაციონალ გრუპ"-ისა და საქართველოს სამოდელო სააგენტო მოდისა და სილამაზის ცენტრი „კატრინის" (დირ. ეკ. მგალობლიშვილი) ორგანიზებითა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახურის მხარდაჭერით ქალაქის ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში ჩატარდა კონკურსი „მის თინეიჯერ კახეთი 2012"-ის და „პატარა მის და მისტერ კახეთი 2012" მონაწილეთა შესარჩევად, სადაც გამარჯვებული კონკურსანტები უფლებას მოიპოვებენ მონაწილეობა მიიღონ „მისს თინეიჯერ უნივერსი 2012", „მის თინეიჯერ გეორგია 2012" და მის თინეიჯერ ამიერკავკასია 2012"-ის კონკურსებში.

სულ კონკურსში მონაწილეობა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლების 9-დან 15 წლამდე ასაკის ორმოცდაერთმა მონაწილემ მიიღო. მათგან კომპეტენტური ჟიურის მოწონება დაიმსახურა და შემდგომ ეტაპზე გადასვლის უფლება ათმა კონკურ-

სანტმა – 15 წლიანებში სოფო სამუნაშვილმა, მაკა როსტიაშვილმა, სოფა მესროფოვმა, ლანა სულიკაშვილმა, 14 წლიანებში – მარი როჭიკაშვილმა, ქეთი თასოშვილმა, ნანუკა დურგლიშვილმა, 13 წლიანებში სალომე შიოშვილმა და მარი როჭიკაშვილმა, 9 წლიანებში კი მაკა მარხვაშვილმა მოიპოვეს. შედგენილი გრაფიკის მიხედვით მსგავსი კონკურსები კახეთის ყველა სხვა მუნიციპალიტეტებშიც ჩატრდება, დასკვნითი ტური კი 8 აპრილს ქალაქ თელავში გაიმართება.

ამ კონკურსზე გადაწყდება თუ ვინ გახდება „მის თინეიჯერ კახეთი 2012" (ასაკი 14-დან 19 წლის ჩათვლით) და „პატარა მის და მისტერ კახეთი-2012" ასაკი 4-დან 13 წლის ჩათვლით) მფლობელი და გააგრძელებს ბრძოლას კონკურსის მომდევნო ეტაპებზე. წარმატებები და ამ ტიტულების მოპოვება ვუსურვოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს პრესტიჟულ ღონისძიებებზე.



15 აპრილს სიყვარულის დღეა, გილოცავთ!

ერთ დღეს დაბადებულ ცოლ-ქმარს, მალე 60 რომ შეუსრულდებათ

ბათი ოჯახისა და სიყვარულის ამბავი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი ღვთის განგებით ხდება და წყდება. ბედისწერით ორივენი ერთსა და იმავე წელს, თვესა და რიცხვში მოევლინენ ამ საწუთროს, სწავლითაც ერთსა და იმავე – მანავის საშუალო სკოლაში, პარალელურ კლასებში სწავლობდნენ. თავიდანვე აშოლტილ, შავგვრემან ჭაბუკსა და სანდომიან, ქერათმიან ქალიშვილს დანახვისთანავე „შეუვარდათ“ ერთმანეთზე გული და ისინი სიყვარულის დიდ ხანძარში გაეხვივნენ. მართალია, მანავის მეორე საშუალო სკოლის გახსნის გამო ვაჟი დროებით „ჩამოსცილდა“ ლიას, მერვე კლასის დამთავრების შემდგომ ამ სკოლაში გადავიდა სასწავლებლად, მაგრამ, მანავიდან კი არ წასულა...

ახლა ამ ვაჟს – არა მარტო მანავსა და საგარეჯოში კარგად ცნობილ პიროვნებას, ბატონ შოთა ბორაშვილსა და იმ გოგონას – მანავის საჯარო სკოლის ღვაწლმოსილ დირექტორს ქ-ნ ლია ყორღანაშვილს ლამაზი, შეხმატკბილებული ქართული ოჯახი აქვთ და თავიანთი დიდი სიყვარულის ნაყოფით ტკბებიან. თუკი ამ ქვეყნად რომელიმე ოჯახს შეუძლია დაიქადნოს ამ ქვეყნისათვის ღირსეული შვილის აღზრდა, ერთ-ერთი მათგანი სწორედ ისინიც არიან. სწორედ ამ თვისებების, გაუნელებელი სიყვარულის გრძნობაზე გვესაუბრება ქ-ნი ლია.

– ქ-ნო ლია, მართალია დიდმა სიყვარულმა ადრეულ ასაკშივე მოგაკითხათ, მაგრამ თქვენი ბედის ერთმანეთთან საბოლოო დაკავშირება ცოტა მოგვიანებით შედგა. როგორ მოხდა ეს?

– დიდმა სიყვარულმა დიდი ხნის ლოდინი არ იცის. ის იყო დავამთავრე უმაღლესი სასწავლებელი და მანავის მეორე საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად დავიწყე მუშაობა, რომ გადავწყვიტეთ ჩვენი გრძნობის ერთმანეთთან საბოლოოდ დაკავშირება და ვიქორწინეთ. მაშინ ჩვენ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდები - 22 წლისანი ვიყავით. შოთა ჯარიდან ახალი დემობილიზებული იყო და საგარეჯოს წყალთა მეურნეობის ინჟინრად მუშაობდა.

– გაგებული მაქვს, რომ იმ დროს „კომუნისტობის“ პერიოდში გაბედეთ და ჯვარი დაიწერეთ, რაც იმ დროისათვის ძალზე სარისკო საქმე გახლდათ. თქვენი ნათქვამის მიხედვით ეს 1974 წელი იყო, მაშინ კომუნისტები ზენიტში იყვნენ და ასეთ რამეებს ასე იოლად არავის პატიობდნენ.

– სიყვარული კაცს ცხოვრებაში რას არ ჩაადენინებს. „კომუნისტობანას“ მიუხედავად, ჯვარი პირდაპირ მცხეთაში – დიდ სვეტიცხოველში დავიწერეთ, მთელი მაშინდელი კაგებეს და სხვა ჩინიან-უჩინარ მეთვალყურეთა თვალწინ. მაგრამ კომუნისტები არ ვიყავით და გადავრჩით.

– ჩანს ბედი მართლაც თქვენს მხარეს იყო. როგორც ცნობილია, შოთა მერე თვითონ გახდა იმ წყობის ძალოვანი სამსახურის ჩინიანი მუშაკი და თავის კარიერაში პოლკოვნიკის ჩინამდე ამაღლდა. სხვა შემთხვევაში, ალბათ კომუნისტები ასეთ სითამამეს ასე არ დატოვებდნენ...

– კი, ნამდვილად ბედი ჩვენს მხარეს იყო. რაც შეეხება შოთას კარიერას, მან გაიარა გზა რიგითი ჩინოვნიკიდან შსს სამინისტროს სხვადასხვა სამსახურების უფროსობამდე. პირადად მე რიგითი მასწავლებლობიდან გადამიყვანეს დირექტორის მოადგილედ, 1997 წლიდან კი დღემდე ვარ ამ სკოლის დირექტორი და ისტორიის მასწავლებელი.

– ყველა ოჯახის სიმტკიცის ბურჯი და ბედნიერება კარგი და მოსიყვარულე მეუღლეებია. თქვენი ოჯახი ამ მხრივაც გამორჩეულია. რაიმეს ხომ არ ვაკლებ ან ვამატებ ამ ნათქვამში?

– ქალისათვის ყველაზე დიდი ბედნიერება კარგი მეუღლეა. ვფიქრობ, რომ ამ მხრივ ძალიან გამიმართლა. მყავს ყველაზე კარგი და მოსიყვარულე მეუღლე და შემიძლია თავი ბედნიერად ჩავთვალო.

– თქვენ არა მარტო წარმატებული და ბედნიერი ქალი ბრძანდებით, არამედ ბედნიერი დედა და ბებიაც გახდით. ერთხელ ცხონებულ ნუგზარ ჭანტურიას თურმე ერთმა რიგითმა ქალმა შეხჩივლა: – რა არის რომ ყველა მასწავლებელს ნასწავლი შვილები გამოსდიან, ჩვენ კი არაო. იცით, ბატონმა ნუგზარმა მას რა პასუხი დაუბრუნა? – მე იმ მასწავლებელს მასწავლებლად არ ვთვლი, ვინც სხვის ბავშვებს გაზრდის და თავისას ვერაო. თქვენ კი ორივე ერთად მოახერხეთ. მოდით, აქვე თქვენი შვილებიც გაგვაცანით...

– როგორც გენებოთ. მყავს სამი შვილი და ორი შვილიშვილი. უფროსი ქალიშვილი ექიმია. მომდევნო თეონა ბორაშვილი პარლამენტში ევროპული ინტეგრაციის კომიტეტში მუშაობს, ვაჟი თამაზი – შს სამინისტროში.

– თქვენი აზრით, რა არის ოჯახური ბედნიერების გარანტი და ყველაზე მეტად რა თვისებების გამო აფასებთ თქვენს მეუღლეს?

– მთავარია ოჯახში იყოს ურთიერთპატივისცემა, გაგება, რაც არ აკლია ჩემს მეუღლეს. ამასთან ოჯახში შოთა მუდამ თბილი და თავმდაბალია, როგორც იტყვიან, დიდთან დიდია და პატარასთან პატარა.

– ქალბატონო ლია! რას იტყვით, ცოტა

მეტი ხომ არ არის ერთი ქალისათვის ის ტვირთი, რომელსაც თქვენ ეწევით – რაიონში ერთ-ერთი მოწინავე სკოლის დირექტორობა, ამხელა ოჯახის დიასახლისობასთან ერთად მოხუცი დედამთილის მოვლა, თან თქვენ რელიგიური ქალბატონიც ბრძანდებით. როდის იცლით ყველაფერ ამისათვის?

– რა ვქნა, სხვა ყველაფერ ზემოთქმულთან ერთად ჩემმა ბედისწერამ ალბათ ეს საქვეყნო ტვირთიც მარგუნა და მინდა ბოლომდე ვუერთგულო ჩემს სატარებელსა და საკეთებელს. არ ვიცი ამას ვინ როგორ აფასებს და შეაფასებს, მაგრამ მე ყოველთვის ვცდილობ ბოლომდე მართალი ვიყო ჯერ საკუთარი სინდისისა და მერე სხვა ყველას მიმართ.

– ქალბატონო ლია! მალე 38 წლის მეუღლეები – ბატონი შოთა და ქალბატონი ლია 60 წლისანი შესრულდებიანო...

– როგორც იცით მე და შოთა ვართ თანაკლასელები. დავიბადეთ 1952 წლის 25 აპრილს. ასე, რომ მალე 60 წლისთავს ვიზეიმებთ (თუმცა ამის გამხელა ჯერჯერობით არ მინდოდა).

– როგორ გილოცავთ ხოლმე თქვენი მეუღლე დაბადებისა და ქალთა დღეებს, ალბათ განებივრებული ეყოლებით საჩუქრებით, კერძოდ, რა საჩუქრები დაგამახსოვრდათ მისგან ყველაზე მეტად?

– რაიმეს ჩუქება ჩემთვის აუცილებელი არაა. მთავარია მას ეს დღეები არასოდეს ავიწყდება. ასეთი ტრადიცია გვაქვს, რომ ჯერ მოხუც დედას მიულოცავს და მერე მე.

– თქვენი მხრიდანაც ასეა?

– კი, რა თქმა უნდა. თუმცა მინდა წელს ეს ტრადიცია დავარღვიო და 60 წლისათვის შოთას პატარა სიურპრიზი მოვუწყო, ვნახოთ როგორ გამომივა ყველაფერი ეს.

– კარგით, ქალბატონო ლია. ვსარგებლობ შემთხვევით და „გარეჯის მაცნეს“ რედაქციის სახელით თქვენს მეუღლესთან ერთად წინასწარ გილოცავთ დამდეგ 60 წლისთავს, სიყვარული, ურთიერთპატივისცემა, სიკეთე, ბედნიერება, წინსვლა და ახალ-ახალი წარმატებები ყოფილიყოს თქვენი ცხოვრებისა და საქმიანობის თანმდევი მომავალშიც.

გივი დაბახიშვილი

მილოცვა

მეორე შვილიშვილის – ნინიკოს შეძენას ვულოცავთ ზურაბ აგულაშვილს და მის მეუღლეს თამარ ყუშიტაშვილს. გაიზარდოს ჯანმრთელი და ბედნიერი ქალი თავის უფროს დაიკო მარიამთან ერთად.

„გარეჯის მაცნე“

მარიამ ჭურღოვანიძეს

სიყვარულის დღეს, 15 აპრილს დაბადებულ ჩვენს პატარა მარიამს ვულოცავთ ამ ლამაზ და მშვენიერ დღეს. გაიზარდე, გაიხარე და ჩვენც გაგვახარე შენი კარგი სწავლითა და წარმატებებით. გაზაფხულის სილამაზე, სითბო და მისი თანამდევი სიყვარული, სიკეთე, სიცოცხლის სიხარული ღმერთმა უხვად დაგაბერტყა, ყოველთვის ასეთი მხიარული, ენერგიული და გონიერი ყოფილიყავი.

დაბადების დღეს ვულოცავთ საგარეჯოს №69 სასპორტო სკოლის ბუღალტერს, მშვენიერ მაია ჯავახიშვილს. ვუსურვებთ სიყვარულს, სიხარულს და გამარჯვებებს პირად ცხოვრებასა და სამსახურებრივ საქმიანობაში

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ თანამშრომლები

საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღის ყოფილ გამგეს ქალბატონ ლამარა გოდერძიშვილს, ამავე საბავშვო ბაღის პედაგოგებს: თამარ გოცირიძეს (საბავშვო ბაღის ყოფილ გამგეს), ნანა გეთიაშვილს, მანანა მენაბდეს და აღმ ზრდელის თანაშემწეს ნათელა მეზვრიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს! ვუსურვებთ ჯანმრთელ, დღეგრძელ სიცოცხლეს თავიანთ ულამაზეს ოჯახთან და უსაყვარლეს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. წარმატებები არასოდეს მოგკლებოდეთ ქალბატონებო იმ რთულ გზაზე, რასაც მასწავლებელი ჰქვია. მუდამ ასეთი შემართებით, უფლის შეწევნითა და სიყვარულით გეცხოვროთ.

მეგობრები

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 577 951 488